პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში (სსმ, 30.12.2013) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მე- 2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „ზ) ცნობა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).“

მუხლი 2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე- 7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „ე) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა.“

მუხლი 3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლის მე - 3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „გ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა.“

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: *ი. ცინცაძე*